ᲓᲦᲔᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐᲐ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ — ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐᲖᲔ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту
при Совете Министров ГССР
и республиканского Совета профсоюзов

№ 77 (7638)
21 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ,
ᲨᲐᲑᲐᲗᲘ,
1984 Წ.

ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ
1934 ᲬᲚᲘᲡ
13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ (მე-2 გვ.)

ᲒᲐᲜᲐ ᲔᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠ-ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲐᲐ? (მე-2 გვ.)

„ᲐᲓᲘᲗ, ᲑᲘᲭᲔᲑᲝ, ᲯᲝᲛᲝᲚᲣᲜᲒᲛᲐᲖᲔ!“ (მე-3 გვ.)

ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲘᲗ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ (მე-3 გვ.)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲔ (მე-4 გვ.)

ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ეს დღესასწაული კალენდარში არ არის აღნიშნული, მაგრამ მილიონობით საბჭოთა ადამიანისთვის იგი მაინც გამორჩეულია, როგორც საყოველთაო-სახალხო ზეიმი. აუწყავია ის სიკეთე, რაც ამ მასობრივ ღონისძიებას მოაქვს. აქ მხოლოდ მატერიალური დოვლათის შექმნაში შეტანილ წვლილს როდი ვგულისხმობთ. ამ საერთო ენთუზიაზმში, პირველ ყოვლისა, ხალხის ერთსულოვნება და მაღალი პატრიოტიზმი ჩანს.

ლენინურ შაბათობაში ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დიდი არმია. ამ დღეს ისინი მაღალნაყოფიერი გარჯის მაგალითს იძლევიან შრომით კოლექტივებში. ქალაქად თუ სოფლად ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დიდი ნაწილი შაბათობაზე გამოდის, რათა კიდევ უფრო გაალამაზოს და კეთილმოაწყოს სპორტული ბაზები.

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ფიზკულტურის ინსტიტუტში, სადაც მასწავლებლები და სტუდენტები ხალისით შრომობენ სასწავლებლის სპორტულ ობიექტებზე, უვლიან ნარგავებს, ასუფთავებენ ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორიას. შრომის შემდეგ კი საინტერესო სპორტული შეჯიბრებები იმართება.

შაბათობას კარგად მომზადებული შეხვდა თბილისის „დინამოს“ სპორტული კომბინატი. მის ცხრამეტივე ბაზაზე დღეს განსაკუთრებული ხალხმრავლობა იქნება: იმისათვის, რომ სპორტკომბინატის თითოეული ობიექტი სპორტსმენთა დაოსტატებისა და მშრომელთა დასვენების კეთილმოწყობილ კერად გადაიქცეს, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს.

საცხოვრებელ ადგილებში მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოსაწყობად თვით მოსახლეობა გამოვა.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ეზოებსა და სპორტულ მოედნებს მზრუნველი ხელი არ ეტყობა, ბევრგან დღემდე არ განუახლებიათ მძლეოსნური სექტორები. სკოლის პედკოლექტივების ვალია, რაც შეიძლება სწრაფად მოაგვარონ ეს საკითხი. შაბათობის შემდეგ არც ერთი სკოლის სპორტული ბაზა არ უნდა დარჩეს მოუწესრიგებელი.

ცხადია, საერთო მზრუნველობის საგნად უნდა იქცეს დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ობიექტები.

შაბათობას დიდი სიკეთე მოაქვს და ეს სიკეთე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

ᲓᲦᲔᲡ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

დღეს, 21 აპრილს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს ქალთა IX საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი (დასაწყისი 19 ს.).

შეჯიბრება ფართო საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს. ეს გასაგებიცაა, რადგან ტურნირის 14 მონაწილეს შორის არის ფიდე-ს მიერ 1984 წლის 1 იანვრისთვის დადგენილი მსოფლიოში საუკეთესო რეიტინგის მქონე პირველი შვიდი დიდოსტატი: პია კრამლინგი (შვეცია) — 2405, მაია ჩიბურდანიძე — 2385, ნანა ალექსანდრია — 2370, ნონა გაფრინდაშვილი — 2330, ელენა ახმილოვსკაია (ბიჭვინთა) — 2300, ნანა იოსელიანი — 2290 და მარტა ლიტინსკაია (ლვოვი) — 2280. მათთან ერთად ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი დიდოსტატები მარგარეტ მურეშანი (რუმინეთი, 2230), ნინო გურიელი (2225), მაია ივანკა (უნგრეთი, 2165), მილუნკა ლაზარევიჩი (იუგოსლავია, 2160) და საერთაშორისო ოსტატები თამარ ხუგაშვილი (2140), მალგორჟატა ვიზე (პოლონეთი, 2120), პავლინა ანგელოვა (ბულგარეთი, 2065).

მსაჯთა კოლეგიამ გვაცნობა, რომ ტურნირის აპრილის რეგლამენტი შეიცვალა (I ტური გაიმართება კვირას, 22 აპრილს, II — 23-ში, III — 24-ში, IV — 25-ში, V — 27-ში, VI — 28-ში, VII — 29-ში, VIII — 30-ში. 26 აპრილს მოეწყობა შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად), მაისის განრიგი კი უცვლელი დარჩა (იხ. 19 აპრილის „ლელო“).



ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲘ — ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ



ეს ფოტოსურათები თბილისის სპორტულ ბაზებზე გამართულ მოსწავლეთა საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე მოგვითხრობს. თბილისის მე-40 საიუბილეო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის 26 სახეობა შედის, აპრილის პირველ რიცხვებში დაიწყო და მაისის ბოლომდე გასტანს. უკვე იასპარეზეს სამბისტებმა და მოჭადრაკეებმა, ბოლო შეხვედრებს ატარებენ კალათბურთელები და ფრენბურთელები, გუშინწინ კი ვაკის საცურაო აუზში დაიწყო საქართველოს მოსწავლეთა საგაზაფხულო პირადგუნდური პირველობა ცურვაში.

ერთი სიტყვით, ნორჩ სპორტსმენებს საინტერესო სპორტული პაექრობა აქვთ გაჩაღებული. ამ შეჯიბრებათა უმთავრესი მიზანია რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდებისთვის ღირსეული კანდიდატების შერჩევა. წინ ხომ მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაა.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲠᲐᲞᲘᲠᲘᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ...

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ სპორტის სასახლე „იუბილეინი“ ამჯერად მოფარიკავეთა მასპინძელია. აქ დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორთა შორის (არა უმეტეს 20 წლის ასაკის სპორტსმენთათვის). ფარიკაობის პოპულარობაზე თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ნევისპირა ქალაქში 32 ქვეყნის 300-ზე მეტმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. ტურნირი პირადია. ყოველ სახეობაში თითო ქვეყანას სამი სპორტსმენის გამოყვანა შეუძლია. სრული გუნდებით გამოდიან იტალია, საფრანგეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, საბჭოთა კავშირი და ფარიკაობის მდიდარი ტრადიციების მქონე სხვა ქვეყნები.

ჩემპიონატი რაპირისტთა ტურნირით დაიწყო. სამი წრის შემდეგ გამოვლინდა 16 უძლიერესი. მათ შორის არიან უფელი ანვარ იბრაჰიმოვი და კიეველი ოლეგ ბრუსილოვსკი. ფინალისტთა შორის არიან კიდევ რვა ქვეყნის წარმომადგენლები.

ტურნირი 23 აპრილს დამთავრდება.

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘ

ᲜᲝᲕᲝᲡᲘᲑᲘᲠᲡᲙᲔᲚᲛᲐ სპორტსმენმა ვერა ოსიპოვამ ბულგარეთის ქალაქ რუსეში 5-კილომეტრიან დისტანციაზე მსოფლიო მიღწევა გაიმეორა გზატკეცილზე სპორტულ სიარულში. მისი შედეგია 22.13,8. ამავე დისტანციაზე მეორე იყო სიმფეროპოლელი ნატალია იაროშენკო — 22.38,9. III ადგილი ხვდა პოლონეთის წარმომადგენელ ბეატა ბონჩიკს — 24.10,4.

20 კილომეტრზე შეჯიბრებაში ვაჟთა შორის ყველას აჯობა ფინელმა რეიმა სალონენმა — 1:23,06. ვილნიუსელმა ვალდას კაზლაუსკასმა IV ადგილი დაიკავა — 1:25.45,8.

30 ᲬᲚᲘᲡ ინგლისელმა სტაიერმა ჯეფ სმითმა მოიგო ბოსტონის მარათონი, რომელშიც 7000 სპორტსმენი მონაწილეობდა. ცივ, წვიმიან ამინდში 42 კილომეტრისა და 195 მეტრის გარბენას მან 2:10.34 მოანდომა. ქალებში გაიმარჯვა ახალზელანდიელმა ელაინ მოლერმა — 2:29.28.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ქალაქ ნოქსვილში გაიმართა მორბენალთა შეჯიბრება. 100-მეტრიან დისტანციაზე მსოფლიო რეკორდსმენმა კელვინ სმითმა (აშშ) 9,99 აჩვენა. ამ გარბენში მაღალი შედეგები მოიპოვეს სხვა მონაწილეებმაც: ჰ. გლანსმა — 10,07, სემ გრედიმ — 10,16, მაიკლ მორისმა — 10,20.

ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲐᲨᲘ, ქალაქ სანტა-მონიკაში, მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა მორბენალმა ქალმა ეველინ ეშფორდმა 100-მეტრიან დისტანციაზე 11,16 აჩვენა. 200 მეტრზე მისი შედეგია 22,75. მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანმა, ფინელმა არტო ბრიგარემ 110 მეტრზე თარჯრბენში 13,66 აჩვენა.

ᲕᲔᲜᲐᲨᲘ გამართულ ასპარეზობაში ჰანს ლინდნერმა, რომელმაც სარაევოს ოლიმპიურ თამაშებში თანაგუნდელ ვალტერ დელეკარტთან ერთად ბობსლეიში მეთორმეტე ადგილი დაიკავა, უროს ტყორცნაში ავსტრიის რეკორდი გააუმჯობესა. მისი შედეგია 72,02.

ჟანდარმული სტუმართმოყვარეობა

ანუ როგორ ემზადებიან ოლიმპიელთა შესახვედრად თამაშების ორგანიზატორები

საქართველოს პურმარილიანობა და სტუმართმოყვარეობა განთქმულია არა მარტო ჩვენში, საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში. მუდამ ხელგაშლით, გულითადად ხვდება მგზავრებს თბომავალი „გრუზიაც". თუ შემთხვევა მიეცათ, ლოს-ანჯელესის მცხოვრებთაც უყვართ სტუმართმოყვარეობით თავის მოწონება, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მათს ქალაქში — აშშ-ის დასავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ ყველაზე დიდ პორტში, XXIII ოლიმპიადის დედაქალაქში, ჯერჯერობით ელემენტარულ თავაზიანობასაც კი არ იჩენენ ჩვენი საოკეანო ლაინერის — „გრუზიას" მიმართ.

თბომავალ „გრუზიას" დავალებული აქვს ლოს-ანჯელესში XXIII ოლიმპიურ თამაშებზე ჩაიყვანოს საბჭოთა დელეგაციის წევრთა ნაწილი: სპორტის სპეციალისტები, ტურისტები, მსახიობები. თამაშებზე დელეგაციის ტრანსპორტირების ასეთი ხერხი უწინაც ყოფილა გამოყენებული.

ამჯერად „გრუზიას" დახმარება განსაკუთრებით საჭიროა: აშშ-ის ამჟამინდელი ადმინისტრაციის სურვილით საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის საჰაერო და საზღვაო ხიდები მწყობრიდან არის გამოსული. ოკეანისგაღმა მივლინებული საბჭოთა მოქალაქენი იძულებული არიან წრიული გზით იფრინონ ამერიკამდე და სანამ დანიშნულების ადგილამდე ჩააღწევდნენ, ორგზის გადასხდომაც კი უწევთ. ესე იგი, ამ ისედაც კარგა გრძელ გზას ისინი ერთ-ნახევარჯერ მეტ დროს ანდომებენ. „გრუზია" კი მათ არა მარტო მგზავრობას გაუადვილებს, არამედ ლოს-ანჯელესის თამაშების დღეებში მყუდრო თავშესაფარიც იქნება ჩვენი დელეგაციისათვის, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ გავითვალისწინებთ მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში დამნაშავეობის დღევანდელ დონეს. ამიტომ საბჭოთა მთავრობამ სავსებით შეგნებულად არჩია ზარალი ენახა, როცა თბომავალი მოხსნა უცხოელ ტურისტთა მომსახურების რეგულარული რეისიდან და ოლიმპიელთა მომსახურება დააკისრა. ეს ყველაფერი კარგა ხანია შესანიშნავად იციან ლოს-ანჯელესის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში (ლაოოკ-ი). მით უფრო მეტ განცვიფრებას იწვევს წერილი, რომელიც ლაოოკ-მა გაგზავნა მოსკოვში და რომელშიც ლონგ-ბიჩის პორტში ჩვენი ლაინერის მიღების პირობებია გადმოცემული. ამ პირობების თანახმად, აშშ-ის სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებს სურთ მოიპოვონ უფლება, რომ „გულმოდგინე შემოწმება" მოაწყონ ხომალდზე ამერიკის ნავსადგურში მისი შესვლის დროს და „შემდგომაც — აუცილებლობის მიხედვით", სხვა სიტყვებით, ჩვენ გვაფრთხილებენ: როცა გაგვეხარდება, მაშინ ამოვცვივდებით ხომალდზე და თუ მოგვეგუნება, მთელ გემს თავდაყირა დავაყენებთო. ამ მეტყობინების მიღმა რაღაც უფრო მზაკვრული ხრიკი იმალება. ამგვარი დასკვნის უფლებას გვაძლევს ბოლოდროინდელი ფაქტები, რომლებიც ნათლად მოწმობენ, რომ შეერთებულ შტატებში არ წყდება საბჭოთა დაწესებულებების, მათი თანამშრომლებისა და ამ თანამშრომელთა ოჯახების წევრების წინააღმდეგ გაჩაღებული პროვოკაციული კამპანია.

თავისი არსით პროვოკაციულია ის სარჩული, რაც თამაშების ორგანიზატორებმა დაუდეს ლოს-ანჯელესში ჩვენი ლაინერის დახვედრის დამამცირებელ პირობებს. წარმომიდგენია, როგორ გაოცდებიან თბომავლის კაპიტანი ანატოლი გარაგულია და მისი ეკიპაჟის წევრები, როცა შეიტყობენ, რომ მათი თბომავალი თურმე სხვა არაფერია, თუ არა „მცურავი საჯაშუშო ცენტრი". ეგ კი არა, ათასობით უცხოელს, მათ შორის ბევრ ამერიკელსაც, ვისაც ამ ლაინერით უმოგზაურია, დღემდე წარმოდგენაც არა ჰქონდა, რომ „გრუზია" არ ვიცი, „საბჭოთა აგენტების" თავშესაფარი ყოფილა, არ ვიცი, „კბილებამდე შეიარაღებული" ლინკორი.

არადა ეს ხმები შორს გასცდა ლოს-ანჯელესის ფარგლებს და ამ ბოროტ მონაჩმახს მიზანდომებით აღვივებს აშშ-ის ბურჟუაზიული პრესა. ეს კია, მსგავსი ზღაპრები აქ მაინცდამაინც არ უკვირთ. ამჯერად აი, რა იქცევს ყურადღებას: „გრუზიას" ცილი პირველმა დასწამა ყბედების ბრბომ, რომელმაც მიზნად დაისახა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ზიანი მიეყენებინა ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის საბჭოთა მონაწილეებისათვის. ამას გვაფიქრებინებს თვითმარქვია პროვოკატორებისა და ზოგიერთი თითქოს რესპექტაბელური ორგანიზაციის ერთი შეხედვით მეტად უცნაური კავშირის სხვა ნიშნებიც. პროვოკატორები აგერ უკვე ნახევარი წელია ყოველი ღონით ცდილობენ ამერიკელები განაწყონ ლოს-ანჯელესის თამაშებში საბჭოთა სპორტსმენთა მონაწილეობის წინააღმდეგ. თავდაპირველად ისინი იმუქრებოდნენ, რომ თავისი შტანდარტების ქვეშ მილიონ თანამზრახველს მაინც მოუყრიდნენ თავს. მაგრამ თანდათანობით იძულებული გახდნენ ამ ციფრისათვის ჯერ ერთი ნული ჩამოეკლოთ, მერე მეორე, — ახლა კი სულაც აღარ ახსენებენ თავიანთ განზრახვას. მაგრამ, თუ რიგითმა ამერიკელებმა არ ისურვეს ყური დაეგდოთ საერთაშორისო მტრობის მთესველთათვის, აშშ-ის ოფიციალურ წრეებში აქაიქ მათ მონაჩმახს უდიდესი გულისყურით უსმენენ.

მაშ ასე, ანტისოვეტიზმის სასარგებლოდ და საამებლად ვაშინგტონში „გრუზია" მიჩნეულია თავისებურ ბუდედ, საიდანაც ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობიან ცხოვრებას დიდი საფრთხე ემუქრება. და, რაკი ასეა, ლოს-ანჯელესში გადაწყვიტეს ლაინერს ჟანდარმული ეთიკის ყველა წესის დაცვით დახვდნენ. სამაგიეროდ, თვით ლაინერისა და მისი მგზავრების უსაფრთხოების დასაცავად, ლაოოკ-ის წერილის თანახმად, ამერიკის ხელისუფალნი გვპირდებიან იზრუნონ „მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ამის უფლებას არსებული კანონი იძლევა".

პირდაპირ უნდა ითქვას, დიდი ვერაფერი იმედია. ყველასთვის ცნობილია, რომ დღევანდელ ამერიკაში „არსებული კანონი" არათუ არ აფერხებს, არამედ ხელსაც კი უწყობს საბჭოთა მოქალაქეთა წინააღმდეგ ველურ გამოხდომებს, რომლებიც არც დიპლომატიური კოდექსის ჩარჩოებში თავსდება და არც ელემენტარული წესიერების ნორმებს შეეფერება. ვინ არის თავდები, რომ ლონგ-ბიჩში „გრუზიას" წინ ჩვენი სახელმწიფოს მოძულე მოფაშისტო ბრბო თავაწყვეტილ თარეშს არ მოჰყვება, ხოლო ადგილობრივი წესრიგის დარაჯნი „არსებული კანონის თანახმად" მათს „კონსტიტუციურ უფლებებს" არ დაიცავენ?

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდებით, სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც თამაშები ტარდება, ვალდებულებას იღებს ყველა მონაწილეს, მიუხედავად ამა თუ იმ ქვეყანასთან მათი ურთიერთობისა, ელემენტარული სტუმართმოყვარეობის გარანტია მისცეს. აქ ალბათ მართებული იქნება გავიხსენოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დიდხანს უარს ამბობდა ასეთი ვალდებულების აღებაზე წერილობითი ფორმით და ეს საბუთი მხოლოდ მაშინ გაუგზავნა სოკ-ის ხელმძღვანელობას, როცა თამაშების სხვაგან გადატანის საკითხი დადგა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, მაგალითად, ვაშინგტონში საბჭოთა კავშირის საელჩოს შესთავაზა ჩვენი დიპლომატებისათვის 17 თებერვლამდე (ხუთი თვით ადრე ოლიმპიადის გახსნამდე) გაეფორმებინა საბუთები ოლიმპიადაზე გასამგზავრებლად: სხვაგვარად ლოს-ანჯელესის თამაშებზე დასწრების გარანტიას ვერ მოგცემთო. სხვათა შორის, საბჭოთა საელჩო ერთადერთია ასზე მეტი უცხოური მისიიდან, რომლის მიმართაც ვაშინგტონში ასეთი „ყურადღება" გამოიჩინეს. მე და ჩემი კოლეგები, მაგალითად, იძულებული ვართ შევეგუოთ იმ აზრს, რომ თამაშებზე აკრედიტაციის მიღების შემდეგ შევძლებთ დავესწროთ შეჯიბრებებს ოცდასამის ნაცვლად მხოლოდ ათ სახეობაში — სხვა ტურნირები ისეთ რაიონებში ჩატარდება, რომლებიც საბჭოთა მოქალაქეებისთვის მიუწვდომელი რჩება.

როგორია ლაოოკ-ისა და მისი მეთაურის პ. იუბეროტის პოზიცია? განა ისინი არ აგებენ პასუხს სოკ-ისა და ლოს-ანჯელესში მიწვეული სპორტული დელეგაციების სახელმწიფოთა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წინაშე თამაშების ნორმალურად ჩატარებისათვის? ანდა განა პ. იუბეროტს, რომელიც ამავე დროს აშშ-ის ყველაზე მსხვილი ტურისტული ფირმის მესვეურია, არ ესმის, რომ წამყვანი ოლიმპიური სახელმწიფოს დელეგაციის წევრებს, მეტი რომ არა ვთქვათ, არაკომფორტაბელურ პირობებს სთავაზობენ? სამწუხაროდ, ჯერჯერობით ლოს-ანჯელესის თამაშების ორგანიზატორები დისკრიმინაციულ შეტყობინებათა გადამცემების როლს სჯერდებიან და მხარს უბამენ ადგილობრივ სპეცსამსახურებს, რომლებიც უსაფრთხოების დაცვისათვის ზრუნვის ნიღბით ცდილობენ იურიდიულად დაასაბუთონ პოლიციური თვითნებობა XXIII ოლიმპიური თამაშების მონაწილე საბჭოთა დელეგაციისა და ასპარეზობის სტუმრების მიმართ.

ა. პალადინი.
„იზვესტიის" საკ. კორ.
ვაშინგტონი, აპრილი.

გულშემატკივრის კუთხე

ქომაგი, ენთუზიასტი, ორგანიზატორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორს ციალა ხვანიძეს მრავალი გატაცება აქვს. ჩვენ არაერთგზის შევსწრებივართ მის საუბრებს პოეზიაზე, ძველ შუმერებზე, საქართველოს ისტორიაზე. თუმცა ოდესღაც ციცერონი ამტკიცებდა, რომ ორატორებად კი არ იბადებიან, არამედ უაღრესად შეუპოვარი შრომით ეუფლებიან ამ ხელოვნებას, ციალა ხვანიძე ამ წესიდან გამონაკლისად გვეჩვენება. მაგრამ რაზეც უნდა ლაპარაკობდეს ქალბატონი ციალა, რაც უნდა იყოს თავდაპირველი პოლემიკის საგანი, ბოლოსდაბოლოს ყველაფერი მაინც სპორტით დამთავრდება. რატომ? იმიტომ, რომ სპორტი მისი უპირველესი გატაცებაა. სპორტი მისთვის ყოველდღიური საზრუნავიც გახლავთ, — ეს ახლა უნივერსიტეტის ყველა სტუდენტმა იცის. თუ სპორტსმენს რაიმე გაუჭირდა, ქალბატონ ციალასთან მიდის, თუ რაიმე წიგნის შოვნა დასჭირდა, ისევ ქალბატონი ციალა შველის, ოჯახში რაიმე გაუგებრობაა და — ისევ ქალბატონი ციალაა მოამაგე და გაჭირვების ტალკვესი. სპორტსა და სპორტსმენებს უნივერსიტეტში არასოდეს აკლდნენ ქომაგები და გულშემატკივრები, გნებავთ მზრუნველები და მფარველებიც, მაგრამ, ვფიქრობთ, ციალა ხვანიძე ამ მხრივ მაინც ყველასგან გამორჩეული პიროვნებაა.

● ქალბატონო ციალა, როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები სპორტში?

— ჩემი პირველი გატაცება კალათბურთი გახლდათ. ვთამაშობდი თბილისის პიონერთა სასახლის კალათბურთის სკოლის გუნდში. ამ სკოლის მოსწავლეები საერთოდ დიდი ენთუზიაზმით გამოირჩეოდნენ, არ იცოდნენ რა იყო ვარჯიშის გაცდენა, შემდეგ ბევრმა ჩვენგანმა უნივერსიტეტის ნაკრებ გუნდში ევგენი აბაიშვილის ხელმძღვანელობით დავიწყეთ თამაში. მერე შალვა დიასამიძე ჩაგვიდგა სათავეში. მალე პირველთანრიგოსანი კალათბურთელიც გავხდი.

კალათბურთს ცოტა ხანში მეტოქეც გამოუჩნდა — ფრენბურთი. მეტად შემიყვარდა სპორტის ეს სახეობა. გვამეცადინებდნენ ბიჭიკო ანდრონიკაშვილი და შოთა მარგიშვილი. უნივერსიტეტის ნაკრების კაპიტნად ამირჩიეს, ვთამაშობდით რესპუბლიკის პირველობაზე. მერე საქართველოს ნაკრებში მოვხვდი და ამ სახეობაშიც პირველი თანრიგი მოვიპოვე.

იმ ხანებში მთაშიც ბევრს დავდიოდი. მახსოვს იალბუზზე ასვლა, ჩრდილოეთ კავკასიაში, „სპარტაკის" საკავშირო ბანაკში გატარებული დღეები.

● ჩვენთვის ცნობილია, რომ დროის დიდ ნაწილს თქვენ საზოგადო საქმიანობას ახმართ.

— ხუთი წლის განმავლობაში ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. უკვე თორმეტი წელია უნივერსიტეტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ვარ. ექვსი წელია ვხელმძღვანელობ ფეხბურთის მოყვარულთა კლუბს, რომელიც ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტთან არსებობს. ამ კლუბის მიზანია თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებისთვის გარკვეული ღონისძიებების მოწყობა, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლების დაახლოება სპორტსმენებთან. ისინი ფეხბურთელებისათვის ლექციებს კითხულობენ, ეწყობა შეხვედრები საზოგადოებრიობასთან. „დინამოს" ახლანდელ ხელმძღვანელობასთან ინტენსიური საქმიანი კონტაქტი გვაქვს. ფეხბურთელები დაინტერესდნენ ჩვენი კლუბის საქმიანობით, გვიზიარებენ თავიანთ ჭირსა და ლხინს. ჩემი ცხოვრების უბედნიერეს დღედ მიმაჩნია 1980 წლის 19 ნოემბერი, როდესაც ჩემს იუბილეზე მასწავლებლის სახლში დედაჩემთან და ჩემს პედაგოგ ქალბატონ მედეა უზნამესთან ერთად ჩემი კოლეგა სპორტსმენებიც, და მათ შორის ფეხბურთელებიც მოვიდნენ, ხოლო ბატონ გრიგოლ გაგუას მიერ შესრულებული შარჟები ხომ პირდაპირ შეუდარებელი იყო.

● თქვენ იშვიათად თუ გააცდენთ საფეხბურთო მატჩს თბილისის „დინამოს" მონაწილეობით.

— ფეხბურთზე პირველად შვიდი წლის ასაკში მოვხვდი. ლეგენდარული ბასკი ოსტატების ნახვა მთელმა თბილისმა მოისურვა და ბიძამ მეც წამიყვანა ამ თამაშზე. ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ — მატჩი ცუდად მახსოვს. აი, ომის შემდეგ კი, სახელგანთქმულ „პარტიზანთან" შეხვედრა ჩემთვის დაუვიწყარია. ბელგრადელთა კარი ცნობილ ფრანიო შოშტარიჩს უნდა დაეცვა, მაგრამ ისე მოხდა, რომ უკანასკნელ მომენტში იგი გუნდის მოთამაშე მწვრთნელმა ფრანიო გლაზერმა შეცვალა. იმასაც ამბობდნენ, რომ ომამდე გლაზერს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის რეპუტაცია ჰქონდა, 11-მეტრიანი დარტყმაც არაერთგზის აუღია. კარგად მახსოვს ამ საჯარიმოს ნამდვილი დიდოსტატის მიხეილ ბერძენიშვილის უდიდესი ხელოვნება და სიზუსტე, ფრანიო გლაზერის პირდაპირ ვეფხვისებური ნახტომი ერთ კუთხეში და მეორეში ნელა შეგორებული ბურთი.

ასე დავდიოდი მრავალი წლის მანძილზე პაიჭაძისა და ღოღობერიძის, მესხისა და მეტრეველის, იამანიძისა და ბარქაიას, ყიფიანისა და დარასელიას მატჩებზე. მათთან ერთად განვიცდიდი, ვხარობდი და ვწუხდი.

● საერთოდ, ქალები საკმაოდ იშვიათად დადიან სტადიონზე.

—ეს სულაც არ არის სასურველი მოვლენა. ქალებიც უნდა დავაინტერესოთ და სტადიონზე მოვიყვანოთ, მათ ვაჟებზე ნაკლებად როდი შეუძლიათ ქომაგობა. მაგრამ მაყურებელთა ერთი ნაწილი ისე იქცევა, რომ ქალების ყოფნა სტადიონზე ზოგჯერ უხერხულიც ხდება. რა თქმა უნდა, ყიჟინა და ემოციების გამოხატვა ფეხბურთის მატჩზე სრულიად აუცილებელია, მაგრამ რატომ დასჩემდათ ზოგიერთებს ქართველი კაცისათვის სრულიად შეუფერებელი ბილწსიტყვაობა, ჩემთვის გაუგებარია.

● რას იტყვით ჩვენს სპორტულ ჟურნალისტებზე?

— ჩვენი პრესა სპორტს დიდ ადგილს უთმობს, მაგრამ სამწუხაროდ, ამ სფეროში ნაკლებად გვყავს ნამდვილი პროფესიონალები. აღწერა კარგია, მაგრამ გულშემატკივარს მოვლენების ანალიზი უფრო აინტერესებს. სულაც არ იქნება ურიგო, მოეწყოს სპორტული ჟურნალისტების შეხვედრა (ვთქვათ, უნივერსიტეტში) გულშემატკივრებთან. დაე, მოხდეს მათ შორის აზრთა ურთიერთგაზიარება.

● რა აზრისა ხართ თბილისის „დინამოს" ახლანდელ თამაშზე?

— გუნდს, ცხადია, თავისი პრობლემები აქვს და საკმაოდ სერიოზულიც, მაგრამ შარშანდელთან შედარებით, ჩემი აზრით, მაინც აშკარად შეიმჩნევა წინსვლა. გუნდი ძირითადად ახალგაზრდულია, პერსპექტიული და დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდა მწვრთნელიც გაართმევს თავს სიძნელეებს, ეს ერთბაშად არ მოხდება და ჩვენც მოთმინება გვმართებს.

საუბარი ჩაიწერა
გივი თორელმა.

მკითხველი — გაზეთი

შეკითხვა: რამდენიმე წელია, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე მცხოვრებმა ბიჭებმა ჩამოვაყალიბეთ ფეხბურთელთა გუნდი „მიმინო". გვინდა მონაწილეობა მივიღოთ ქუჩის გუნდებს შორის „ტყავის ბურთის პრიზის" გათამაშებაში.

ხ. ბრეგაძე, ვ. ქორიძე, ო. ხვედელიძე, ნ. მაზმანიანი, ი. მარგველაშვილი, ი. ხელაშვილი, გ. კაკაბაძე. (თბილისი).

პასუხი: ქუჩისა და ეზოს გუნდებს შორის „ტყავის ბურთის პრიზზე" შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის უნდა მიმართოთ თქვენი სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორს, რომელიც ვალდებულია აღმოგიჩინოთ პრაქტიკული დახმარება.

●

თბილისელ ძიუდოისტთა უპირატესობით

მძლეოსნობის სასახლეში მიმდინარეობს საქართველოს პროფსაბჭოს პირად-გუნდური პირველობა სპორტსაზოგადოებების „განთიადის", „კოლმეურნეს", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის", ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ნაკრებ გუნდებს შორის ჭიდაობის ყველა სახეობაში.

ასპარეზობა დაამთავრეს ნორჩმა ძიუდოისტებმა. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I — „სპარტაკი", II — „კოლმეურნეს" ბავშვთა და მოზარდთა ნაკრები გუნდი, III — უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვ. ირემაშვილმა (45 კგ, „სპარტაკი", თბილისი), მ. გოგოჭურმა (49, „განთიადი", თბილისი), ა. აზალაძემ (53, „ბურევესტნიკი", გორი), მ. ხუბეჯაშვილმა (57, „კოლმეურნე", ახმეტა), ა. ზახაროვმა (62, სპორტული სკოლა, თბილისი), ლ. შაშიაშვილმა (68, „კოლმეურნე", ახმეტა), ვ. ჩოხელმა (75, „სპარტაკი", თბილისი), გ. ყიფშიძემ (83, სპორტული სკოლა, თბილისი), ზ. დავითაშვილმა (+83, სპორტული სკოლა, თბილისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

კარპოვმა სძლია მაილსს

ოსლოს (ნორვეგია) საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში კიდევ ორი (V, VI) ტურის შეხვედრები ჩატარდა.

V ტურში მსოფლიო ჩემპიონი კარპოვი დაუზავდა ადორიანს (უნგრეთი). საბჭოთა დიდოსტატი მაკარიჩევი დამარცხდა მაილსთან (ინგლისი), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — აგდესტეინთან (ნორვეგია).

VI ტურში კარპოვმა სძლია მაილსს.

6 ტურის შემდეგ კარპოვს 4,5 ქულა აქვს, მაილსს — 4, მაკარიჩევს, დე ფირმიანს (აშშ) — 3;5-3,5, ოგდესტეინს, ადორიანს — 3-3, არნასონს (ისლანდია), ჰიუბნერს (გფრ) — 2,5-2,5, ჰორტს — 2, ვადბერგს (შვეცია) — 1,5.

ბრძოლა მძაფრდება

ლვოვის ჭადრაკის სასახლეში მთავრდება სსრ კავშირის ვაჟთა 51-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). მოჭადრაკეებმა განვლეს დისტანციის ორი მესამედი. შეჯიბრების დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.

12 ტურის შემდეგ საერთაშორისო ოსტატ ანდრეი სოკოლოვს (მოსკოვი) 8,5 ქულა აქვს, საერთაშორისო ოსტატ კონსტანტინ ლერნერს (ოდესა) — 8, დიდოსტატ ალექსანდრე ბელიავსკის (ლვოვი) — 7,5, ვიაჩესლავ ეინგორნს (ოდესა) — 6,5 ქულა და ორი გადადებული პარტია.

ახალგაზრდა ოსტატები ტოლს არ უდებენ გამოცდილ დიდოსტატებს. ეს ბოლო ოთხმა ტურმაც ცხადყო. მაგალითად, ე. ხარიტონოვმა მოუგო დიდოსტატ ი. დორფმანს, ვ. სალოვმა და კ. ასეევმა დაამარცხეს დიდოსტატი ი. ბალაშოვი. დიდოსტატებმა მხოლოდ XII ტურში „ამოისუნთქეს", როცა ვ. ტუკმაკოვმა დაამარცხა ვ. ჩეხოვი, დორფმანმა — ი. ნოვიკოვი და ბელიავსკიმ — ხარიტონოვი.

ჩემპიონატის სენსაციაა საერთაშორისო ოსტატ ვალერი ჩეხოვის ზედიზედ 5 (!) წაგება.

კვლავ დაუმარცხებლად მიილტვის წინ 21 წლის სოკოლოვი. ბოლოს მან ფარ-ხმალი დააყრევინა ჩეხოვსა და ა. ვიჟმანავინს. ლიდერს ფინიშზე ძლიერი მეტოქენი ჰყავს. ჩემპიონის ოქროს მედლის ბედი ალბათ დასკვნით, XVII ტურში სოკოლოვ-ბელიავსკის შეხვედრაში გადაწყდება.



გთავაზობთ ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩების დასკვნით პარტიებს.

მეთერთმეტე პარტია

სემიონოვა — ლევიტინა

ძველინდური დასაწყისი

1. მf3 მf6 2. g3 b6 3. კg2 კb7 4. 0—0 e6 5. d3 d5 6. მbd2 კe7 7. მe5 მbd7 8. f4 მ×e5 9. f×e5 მd7 10. d4 0—0 11. e4 c5 12. c3 b5 13. e×d5 e×d5 14. მf3 b4 15. კe3 a5 16. ლd2 მb6 17. b3 c4 18. c×b4 a×b4 19. კg5 ეa3 20. კ×e7 ლ×e7 21. მh4 კc8 22. ეab1 c3 23. ლc2 კe6 24. ეa1 ლa7 25. ეf2 მc8 26. მf3 h6 27. h3 მe7 28. g4 მg6 29. ლd1 ლe7 30. მe1 მh4 31. მc2 ეa5 32. ლd3 ეc8 33. კf1 h5 34. ლg3 h×g4 35. h×g4 მg6 36. კd3 ეca8 37. მe3 ლg5 38. ეh2 მf4 39. კh7+ მფf8 40. ეf1 g6 41. ლ×f4 (ჩაწერილი სვლა) ლ×f4 42. ე×f4 მფg7 43. მf5+ მფf8 44. ეff2 ე5a6 45. ეhg2 ე8a7 46. მფh2 g×f5 47. g×f5 f6 48. კg6 ეf7 49. კ×f7 ე×f7 50. e6 ეh7+ 51. მფg1 ეc6 52. ეc2 ეg7 53. მფf2 ე×g2+ 54. მფ×g2 ეc7 55. მფf3 ეh7 56. ეf2 ეc7 57. ეf1 ეa7 58. ეa1 ეa3 59. მფe3 მფe7 60. მფd3 მფd6 61. მფe3 მფe7 62. ეh1 ე×a2 63. ეh7+ მფe8 64. ეh8+ მფe7 65. ეh7+ მფe8 66. ეd7 ეh2 67. ე×d5 ეh3+ 68. მფe2 ეh2+ 69. მფd3 ეh+. ყაიმი.

მეთორმეტე პარტია

ლევიტინა — სემიონოვა

უფიმცევის დაცვა

1. d4 g6 2. e4 კg7 3. მc3 c6 4. მf3 d6 5. a4 მd7 6. კe2 ლc7 7. 0—0 მgf6 8. h3 0—0 9. კe3 h6 10. ეe1 b6 11. კf1 კb7 12. e5 d×e5 13. d×e5 მd5 14. მ×d5 c×d5 15. კf4 მc5 16. მd4 მფh7 17. c3 კc8 18. კh2 ლb7 19. a5 a6 20. b4 მe6 21. კd3 კd7 22. h4 b×a5 23. მ×e6 ლ×e6 24. ე×a5 ეa7 25. h5 ეc8 26. ლc2 d4 27. h×g6+ f×g6 28. კ×g6+ მფh8 29. ეc5 ე×c5 30. d×c5 d×c3 31. ლ×c3 კd5 32. კc2 ლc6 33. ლd3 კg8 34. ლe3 ეc7 35. e6 ეc8 36. კe5 კh7 37. ლ×h6. შავები დანებდნენ.

მეთორმეტე პარტია

სმისლოვი — კასპაროვი

ტარაშის დაცვა

1. d4 d5 2. მf3 c5 3. c4 e6 4. c×d5 e×d5 5. g3 მf6 6. კg2 კe7 7. 0—0 0—0 8. მc3 მc6 9. კg5 c×d4 10. მ×d4 h6 11. კe3 ეe8 12. a3 კe6 13. მ×e6 f×e6 14. ლa4 მფh8 15. ეad1 ეc8 16. მფh1 a6 17. f4 მa5 18. f5 b5 19. ლh4 მg8 20. ლh3 მc4 21. კc1



21. ...კg5 22. f×e6 კ×c1 23. ე×c1 მe3 24. მ×d5 მ×f1 25. ე×f1 ეf8 26. მf4 მe7 27. ლg4 g5 28. ლh3 ეf6 29. მd3 ე×f1+ 30. კ×f1 მფg7 31. ლg4 ლd5+ 32. e4 ლd4 33. h4 ეf8 34. კe2 ლe3 35. მფg2 მg6 36. h5 მe7 37. b4 მფh8 38. მფh2 ეd8 39. e5 ე×d3 40. კ×d3 ლ×d3. თეთრები დანებდნენ.

მეცამეტე პარტია

კასპაროვი — სმისლოვი

ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. მf3 მf6 3. c4 c6 4. მc3 e6 5. კg5 მbd7 6. e3 ლa5 7. მd2 კb4 8. ლc2 0—0 9. კe2 e5 10. კ×f6 მ×f6 11. d×e5 მe4 12. c×d5 მ×c3 13. b×c3 კ×c3 14. ეc1 კ×e5 15. d×c6 b×c6. ყაიმი.

რამდენი დიდოსტატი ქალია მსოფლიოში?

„ლელოს" პასუხი

გვეკითხებიან მკითხველები მარიკა მათიაშვილი და მირანდა ახვლედიანი (ორივე — თბილისი).

საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მინიჭებული აქვს 39 მოჭადრაკე ქალს. აი, ისინიც: **სსრ კავშირი** — ნანა ალექსანდრია, ელენა ახმილოვსკაია, ელიზავეტა ბიკოვა, ლარისა ვოლპერტი, ნონა გაფრინდაშვილი, ნინო გურიელი, ტატიანა ზატულოვსკაია, კირა ზვორიკინა, ნანა იოსელიანი, ოლგა იგნატიევა, ვალენტინა კოზლოვსკაია, ნატალია კონოპლიოვა, მარტა ლიტინსკაია, ირინა ლევიტინა, ოლგა რუბცოვა, ლუდმილა რუდენკო, ლიდია სემიონოვა, ელენა ფათალიბეკოვა, მაია ჩიბურდანიძე, **ინგლისი** — იანა მაილსი, **უნგრეთი** — ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი, მარია ივანკა, ევა კარაკაში, **გდრ** — ედიტ კელერ-გერმანი, **ჰოლანდია** — ალექსანდრა ვან დერ მიიე, ფენი ჰეემსკერკი, **ისრაელი** — ალა კუშნირი, **ჩინეთი** — ლიუ შილანი, **პოლონეთი** — ხანა ერენსკა-რაძევსკა, **რუმინეთი** — მარგარეტ მურეშანი, მარია პოგორევიჩი, ელიზაბეტა პოლიქრონიადე, **გფრ** — ბარბარა ხუნდი, **ჩეხოსლოვაკია** — ელიშკა კლიმოვა **შვეიცარია** — ტატიანა ლემაჩკო, **შვეცია** — პია კრამლინგი, **იუგოსლავია** — მილუნკა ლაზარევიჩი, ვერა ნედელკოვიჩი, ტერეზა შტადლერი.

ფოთში პირველად აიჭრა ბურთი...

ძველებურმა ინგლისურმა გემმა ერთი მძლავრად დაიწივლა, დიდი ბრიტანეთის დროშასავით აჭრელებული მილიდან შავი მჭვარტლი ამოუშვა და ნელა აეკრა ფოთის ნავსადგურს...

ეს იყო XX საუკუნის დამდეგს, უფრო ზუსტად, 1909 წელს. უცხოელმა მეზღვაურებმა შორეული ალბიონის კუნძულებიდან ფოთში ახალი თამაში შემოიტანეს — „ფუტბოლი". აქაური ბიჭები ნელ-ნელა შეეშვნენ მამაპაპურ ლელობურთს და დაბინდებამდე ორ გოლს თამაშობდნენ. მოეწონათ ჩვენებს ფეხბურთი, თითქმის მთელი საქართველო „დაავადდა" ამ თამაშით, გამოჩნდნენ პირველი მერცხლები — ოფიციალური თუ არაოფიციალური გუნდები: „ტრიუმფი", „ურანი", „სოკოლი", „კომეტა" და შემდეგ „დინამო", — ჩვენი სახელოვანი „დინამო", რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ ფოთელი ფეხბურთელები ბორის პაიჭაძე, კაკო ყალიჩავა, გრიგოლ გაგუა, სამა ელიავა, ედუარდ ნიკოლაიშვილი, ასლან ხარბედია, ვალოდია ბერძენიშვილი, გვაჩი ჯორბენაძე, ტიტე ჯორჯიკია, კაკო იმნაძე, ვანიჩკა კინწურაშვილი, გიორგი ანთაძე, ჯანსუღ კინწურეიშვილი, ავთანდილ პაიჭაძე...

დღეს ქართული ფეხბურთის აკვანს 75 წელი უსრულდება. ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთის მოყვარულები, პირველ რიგში კი, ცხადია, თვით ფოთელები, ზეიმით აღნიშნავენ ამ სახელოვან თარიღს.

ტყავის ბურთის კიდევ მრავალი ოსტატი აღზრდილიყოს ფოთის საფეხბურთო მინდვრებზე ჩვენი სპორტის, ქართული ფეხბურთის სადიდებლად და საამაყოდ!

• • •

სურათზე: ფოთელი ფეხბურთელები, თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდის ომამდელი თაობის წარმომადგენლები — ბორის პაიჭაძე, გვაჩი ჯორბენაძე, გრიგოლ გაგუა, ვლადიმერ ბერძენიშვილი.

მკითხველი შეიძლება ამ სურათმა ცოტა არ იყოს შეაფიქრიანოს კიდეც: სპორტის რაინდთა ხელში პაპიროსს რა უნდაო? მოდი, ნუ დავივიწყებთ, რომ ისინიც ჩვეულებრივი ახალგაზრდები იყვნენ, თითქმის ჭაბუკები და რა გასაკვირია, თუ სურათის გადაღების დროს მაინც „წაივაჟკაცეს", ისე კი, თუ კარგად დააკვირდებით, იმასაც შენიშნავთ, რომ არც ერთი პაპიროსი მოკიდებული არაა.

ფოტოსურათი „ლელოს" არქივიდან.

წიგნად აკინძული მონაგარი

შემოქმედებითი გზის დასაწყისი არასოდეს არ არის ერთგვაროვანი. იგი ნებისმიერი ადამიანისათვის სხვადასხვა ფორმით „მიმდინარეობს". მაგრამ ახალგაზრდების უმრავლესობას აქვს ერთი საერთო და, უნდა ითქვას, მეტად მიმზიდველი თვისება — თავმდაბლობა, რომელსაც, მერე და მერე, პროფესიონალიზმის კვალობაზე ისინი ან „ნებაყოფლობით ელევიან", ან იძულებით კარგავენ.



ნათქვამი ეხება კიდეც და არც ეხება ნიჭიერ... რა ვთქვათ — პოეტს, მხატვარს, მწერალს, დრამატურგს, ესეისტს, პუბლიცისტს, ჟურნალისტს? ალბათ, კიდევ უფრო გაგიკვირდებათ, თუკი ვიტყვი, რომ ეს განსხვავებული პროფესიები თუ გატაცებები ერთ ადამიანში იყრის თავს და ეს ადამიანი არის პაატა ნაცვლიშვილი.

არ იფიქროთ, თითქოს პაატა ნაცვლიშვილის უაღრესად მრავალფეროვანი ინტერესების სფერო ერთად მინდა მიმოვიხილო. რაც შეეხება პოეზიას, მწერლობას, მხატვრობას, ამ დარგების უფრო კომპეტენტური სპეციალისტებისთვის გადამილოცავს. ჩემი „მისია" შედარებით მოკრძალებულია: ჟურნალისტიკა, უფრო კონკრეტულად კი — მისი ერთ-ერთი მიმართულება—სპორტული ჟურნალისტიკა.

მართალი გითხრათ, სპორტულ ჟურნალისტიკაში პაატა ნაცვლიშვილის მოსვლამდე მეგონა, რომ ამ დარგის ყველა დიდსა თუ მცირე წარმომადგენელს ვიცნობდი. მით უმეტეს, ჩვენი ამქარი სიმრავლით მაინცდამაინც ვერ დაიტრაბახებს. მაგრამ თურმე ვცდებოდი. ერთ დღეს ახალ დაარსებულ „მართვეს" რედაქციაში, რომელიც იმხანად სიდიდით სწორედ მართვეს ბუდეს ჰგავდა, მოვიდა ხმელ-ხმელი, ულვაშა ახალგაზრდა, რომელმაც მორიდებით გვთხოვა გავცნობოდით მის ნარკვევს. ვერ დაგიმალავთ, უნებლიედ უნდობლობა ვიგრძენი (ეს გრძნობა ალბათ ნებისმიერ რედაქტორს უჩნდება დებიუტანტთან შეხვედრისას), მაგრამ თავს ძალა დავატანე, რომ უნდობლობა არ გამომეხატა და ჭაბუკს თავაზიანად ვთხოვე ნამუშევარი დაეტოვებინა. რამდენიმე წუთის შემდეგ ცნობისმოყვარეობამ წამძლია და ცალი თვალით გადავხედე წერილს. ჩემდაუნებურად ნაწერმა ისე გამიტაცა, რომ სულმოუთქმელად ჩავიკითხე. წერილს ერქვა „ადით, ბიჭებო, ჯომოლუნგმაზე!". უნდა გითხრათ, სათაური თავისთავად ბევრს ნიშნავს და ხშირად გამოხატავს მისი ავტორის გემოვნებასაც. მთელი წერილი თითქოს ამ მოხდენილი სათაურის ტალღაზე იყო მომართული.

რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, როცა იგივე სათაური დაარქვა ავტორმა ოთხი წლის შემდეგ თავისი ჟურნალისტური ოთხწლეულის წიგნად აკინძულ მონაგარს სპორტის სფეროში. „ადით, ბიჭებო, ჯომოლუნგმაზე!" — ეს არის ენერგიით, დინამიკურობით, მახვილგონივრული მიგნებებითა და ჩვენი პროფესიის კვალობაზე უზარმაზარი ინფორმაცია-სტატისტიკით, დახუნძლულ-დამუხტული წიგნი.

მღვდელი ჰილოფში იცნობაო, ნათქვამია და ამ წიგნსაც, რომელიც თავისებურ სპორტულ კალეიდოსკოპს წააგავს, ეტყობა მწერლის ხელი. ყურადღებას იქცევს მდიდარი ლექსიკა, ფერადოვანი აღწერილობა და ციფრებს მიღმა სპორტული მოვლენების არსში წვდომის შესაშური უნარი. აქვე უნდა დავძინო, რომ ავტორს სულაც არ წარმოუდგენია თავი ზოგიერთივით სპორტული ჟურნალისტიკის ერთგვარ დალაი-ლამად და პრეტენზიას არ აცხადებს სპორტის სფეროს გამოწვლილვით ცოდნასა და ანალიზზე. იგი ცდილობს გააძლიეროს და გამოიყენოს წერილისა თუ ნარკვევის ის მხარე, რომელშიც თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ეს არის ხერხი, რომელიც ყველაზე პოპულარულია, საზოგადოდ, მთელს სპორტულ ჟურნალისტიკაში: დიდი მცდელობითა და შრომით მოძიებული და შეკრებილი ფაქტების მხატვრული განზოგადება.

ბევრ ცდუნებას აუარა გვერდი, საბედნიეროდ, „მართვეს" შვილობილმა. ეს ცდუნებებია, მაგალითად, ზედმეტი გატაცება დეკლარაციული ტონითა და კატეგორიული მსჯელობით. პაატა ნაცვლიშვილის ნაწერს ვერავინ დასდებს ამ ბრალს. მისი ნამუშევარი და ნააზრევი სადაა, უბრალოა და შინაარსიანი, როგორც ავტორის დამოკიდებულება საერთოდ სპორტულ სამყაროსთან.

ხდება ხოლმე, ჟურნალისტები ჩვენს ნაწერს ხან ვართულებთ და ვაბუნდოვანებთ, ხანაც პირიქით — ძალიან ვაუბრალოებთ. პაატა ნაცვლიშვილმა თავი დააღწია წიგნში ერთსაც და მეორესაც. მან იპოვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოქროს შუალედი.

არჩილ გოგელია.

საერთაშორისო მატჩი თბილისში

გუშინ თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. თბილისის „შევარდენი" ეთამაშა აქ სტუმრად მყოფ დასავლეთ ბერლინის სამოყვარულო ლიგის გუნდს.

თამაშს საკმაოდ დაესწრო მაყურებელი. თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო, მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 5:2.

საქართველოს პირველობა

18 აპრილს შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის გამოტოვებული მატჩი ზუგდიდის „დინამოსა" და ლაითურის „გიგანტს" შორის.

ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ამხანაგური მატჩები

სტრასბურგი. საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა ამ ამხანაგურ მატჩში დაამარცხა გფრ-ის გუნდი — 1:0 (0:0). შეხვედრა დაძაბული გამოდგა. უმეტესად ფრანგები უტევდნენ. მე-80 წუთზე ჟენგინის მიერ გატანილმა გოლმა დააგვირგვინა მასპინძლების უპირატესობა. მანამდე სტუმრები რამდენიმეჯერ გადაარჩინა მეკარე შუმახერმა. საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ამჯერად არ იყო ევროპის შარშანდელი წლის საუკეთესო ფეხბურთელი პლატინი. ეს ამ სეზონში ზედიზედ მესამე გამარჯვებაა ფრანგი ფეხბურთელებისა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირისთვის ემზადებიან.

ვენა. ავსტრიისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0. ამ შეხვედრით დასრულდა ავსტრიის ფეხბურთის ასოციაციის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. მატჩს დაესწრო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო ავილანჟი.

ათეულში — უცხოელები

ამას წინათ ავსტრიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ქვეყნის უძლიერეს მოქმედ ფეხბურთელთა ათეული. ეს სია ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტებმა შეადგინეს და სრული უპირატესობა მიანიჭეს ამ ქვეყანაში მოთამაშე უცხოელებს. ამ სიაში, პირველ ადგილზეა ჩეხოსლოვაკიელი ანტონინ პანენკა, ხოლო მეორეზე — უნგრელი ტიბორ ნილაში.

ოპტიმისტი ბობი ჩარლტონი

ცნობილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა ბობი ჩარლტონმა გახსნა სკოლა, სადაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აპირებს „ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენთა მომზადებას, რომლებიც 1990 წლის მსოფლიო პირველობაზე ინგლისელებს ჩემპიონის წოდებას დაუბრუნებენ".

ჩქარობენ...

30 ივნისიდან იტალიაში ძალაში შედის კანონი იმის შესახებ, რომ გუნდებს მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის დამთავრებამდე ეკრძალებათ უცხოელი ფეხბურთელების შეძენა. ახლა იტალიის კლუბები ცდილობენ [illegible] მოასწრონ იმ ფეხბურთელის შეძენა, ვისაც თვალი დაადგეს. გენუის „სამპდორიამ" „მანჩესტერ იუნაიტედს" შესთავაზა გარიგება. ინგლისის ნაკრების კაპიტნის ბრაიან რობსონის დათმობის თაობაზე. უამრავი წინადადება მოსდით ბრაზილიელ სოკრატესს, „ლივერპულის" სნაიპერს რაშს, „ტოტენჰემ ჰოტსპურის" წამყვან ფეხბურთელ ჰოდლსა და სხვებს.

უეფა-ს სამდივნოს ცნობით

უეფა-ს სამდივნომ ევროპის ქვეყნების ეროვნულ ფედერაციებს გაუგზავნა ცნობა, სადაც გამოთქმულია შეშფოთება იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის პრესა სისტემატურად ესხმის თავს იმ მსაჯებს, რომლებიც ამ ქვეყნის გუნდების საერთაშორისო მატჩებს ატარებენ. ფრანგი ჟურნალისტები მსაჯებს ხშირად აბრალებენ, რომ ისინი მოსყიდულნი არიან მეტოქეთა მიერ და მათ სასარგებლოდ სჯიან.

ცნობაში ნათქვამია, რომ თუ ასე გაგრძელდა, მსაჯები იძულებული გახდებიან სასამართლოს მიმართონ.

თუ „ნაპოლი" გადარჩება

თუ „ნაპოლი" იტალიის პირველ ლიგაში შეინარჩუნებს ადგილს, მომავალი, 1984-85 წლების სეზონიდან ამ გუნდში ითამაშებს გფრ-ის ნაკრებისა და „კაიზერსლაუტერნის" ცნობილი მცველი ჰანს-პეტერ ბრიგელი. ცხადია, გარიგება არ შედგება, თუ „ნაპოლი" პირველ ლიგას დატოვებს, რადგან იტალიის მეორე ლიგის გუნდებს უფლება არა აქვთ უცხოელი ფეხბურთელები იყოლიონ.

ინფორმაცია

იყიდება... ოლიმპიადა

ოლიმპიადით ვაჭრობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ თვით ამერიკის საქმიანი წრეების ორგანო, გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელიც" კი ვერ მალავს აღშფოთებას. იგი წერს, რომ ლოს-ანჯელესის თამაშები, რომელსაც შეერთებულ შტატებში კერძო საკუთრებასავით უყურებენ, მართლაც იქცა ოქროს, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ოლიმპიური ოქროს მოხვეჭის საშუალებად. მსხვილი კორპორაციები თავიანთი პროდუქციის რეკლამისათვის ფართოდ იყენებენ ოლიმპიურ სიმბოლიკას. უკვე გაჩნდა „ოლიმპიური" ვარდები, ოლიმპიური წყალი, ლუდი...

განსვენებული ევერი ბრენდეჯი, რომელიც ორი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, მუდამ ილაშქრებდა ოლიმპიური პრინციპების შელახვისა და თამაშების კომერციული მიზნით გამოყენების წინააღმდეგ, ახლა კი იგი ალბათ საფლავში გადატრიალდება, წერს „უოლ-სტრიტ ჯორნელი".

●

„სპორტლოტო"

„სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 14 აპრილს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, მე-15 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (26 ბარათი) მოგება 2137 მანეთია, ოთხისთვის (1518 ბარათი) — 36, სამისთვის (24471 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (18 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (4287 ბარათი) — 108, სამისთვის (106305 ბარათი) — 8.

●

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 21 აპრილი. გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „არმაზი" (მცხეთა).** დასაწყისი 12 ს. ოქროყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი).** 13 ს.

რედაქტორი ა. გობელია.

1983. რეკორდები და ათი საუკეთესო

ვაჟები

უროს ტყორცნა. საქართველოს რეკორდი — 77.64 მ — ჯ. ფხაკაძე. დაამყარა 1975 წელს.

1983 წლის საუკეთესო შედეგები:
61,30 — ზ. ტალიკიშვილი (1962, „განთიადი", თბილისი)
52,66 — ო. ტიმოფეევი (1967, თბილისი)
51,00 — ა. მწითური (1963, „განთიადი", თბილისი)
48,84 — ზ. ნიკოლაიშვილი (1964, თბილისი)
42,48 — ს. ცხოვრებოვი (1954, „განთიადი", ცხინვალი)

5 შედეგში: 1 პირველი თანრიგისა, 3 — მეორესი, 1 — მესამესი.

1979 წლის საუკეთესო შედეგია 65,80, ათეულის საშუალო მაჩვენებელი — 53,28; 1983 წელს ხუთეულის საშუალო უდრის 51,25.

ბირთვის კვრა. საქართველოს რეკორდი — 18,91 — მ. ოყროშიძე. დაამყარა 1969 წელს.

1983 წლის საუკეთესო შედეგები:
17,06 — ა. ორლოვსკი (1965, „ლოკომოტივი", თბილისი)
16,82 — ტ. ბიწაძე (1966, „ბურევესტნიკი", სოხუმი)
16,55 — დ. ლომჯარია (1966, „ბურევესტნიკი", თბილისი)
16,06 — გ. უშიკაშვილი (1966, ინტერნატი)
15,25 — ა. ქორიძე (1963, „კოლმეურნე", თბილისი)
14,90 — ა. ტუაევი (1965, „განთიადი", ცხინვალი)
14,04 — ვ. საბანაძე (1961, „ლოკომოტივი", თბილისი)
14,00 — გ. თედეევი (1965, „განთიადი", ცხინვალი)
13,82 — ა. გავრი (1959, „სპარტაკი", ქუთაისი)
13,10 — დ. პესტაევი (1965, „განთიადი" ცხინვალი)

15 შედეგში: 3 ოსტატობის კანდიდატისა, 3 პირველი თანრიგის, 5 — მეორესი, 2 — მესამესი, 2 — უთანრიგო.

1979 წლის საუკეთესო შედეგია 17,49. 10 საშუალო — 15,26, 1983 წელს — 15,16.

ათჭიდი. საქართველოს რეკორდი: 7879 ქულა — ი. დიაჩკოვი — დაამყარა 1968 წელს.

1983 წლის საუკეთესო შედეგები:
7548 — ა. გრებელნიკოვი (1960, „ლოკომოტივი", თბილისი, 7408 და 23-ე ჩასათვლელი ადგილი VIII სპარტაკიადაზე).
7515 — ვ. ბერიშვილი (1958, „ბურევესტნიკი", თბილისი);
6645 — ბ. ნოვოკშანოვი (1959, „დინამო", ქუთაისი).
5977 — ე. ფილიმონოვი (1961, „სპარტაკი", ფოთი)
5656 — ვ. ფირცხელაშვილი (1965, „განთიადი", ქუთაისი).
5615 — ე. ვედენსკი (1958, „სპარტაკი", აფხაზეთი).
5549 — თ. ქათამაძე (1963, „დინამო", აჭარა)
5547 — ვ. ევდოკიმოვი (1965, „დინამო", აჭარა)
5390 — ვ. ბუდბა (1963, „დინამო", აფხაზეთი)
5253 — ს. ფედოროვსკი (1960, „სპარტაკი", აფხაზეთი)

12 შედეგში: 2 სპორტის ოსტატისა, 1 — პირველი თანრიგის, 8 — მეორესი, 1 — უთანრიგო.

1979 წლის საუკეთესო შედეგი — 7393, „10 საუკეთესოს" საშუალო შედეგი — 6116, 1983 წელს — 6069.

ქალები

100 მ რბენა. საქართველოს რეკორდი — 11,63 — მაია აზარაშვილი. დაამყარა 1983 წელს.

1983 წლის საუკეთესო შედეგები:
11,63 — მ. აზარაშვილი (1964, „კოლმეურნე", თბილისი, 11,85 და მე-14 ადგილი VIII სპარტაკიადაზე).
11,8 — შ. ონიაშვილი (1964, „განთიადი", თბილისი)
12,0 — ი. კოსორუკოვა (1965, „დინამო", თბილისი)
12,1 — ტ. ემუხვარი (1965, „დინამო", სოხუმი)
12,3 — ვ. ხრომოვა (1961, „განთიადი", ქუთაისი)
12,4 — ლ. გერგელეჯიევა (1964, „განთიადი", სოხუმი)
12,4 — ნ. კაზარენკო (1966, სოხუმი)
12,5 — ნ. დემენტიევა (1964, „ლოკომოტივი", თბილისი)
12,6 — ე. გოლუშვინა (1963, „დინამო", ბიჭვინთა)
12,6 — ზ. გუჩმაზოვა (1963, „ლოკომოტივი", თბილისი).
12,6 — ე. რომანოვა (1967, ლესელიძე).

67 შედეგში: 1 სპორტის ოსტატობისა, 1 ოსტატობის კანდიდატისა, 5 — პირველი თანრიგის, 11 — მეორესი, 25 — მესამესი, 24 — უთანრიგო.

1979 წლის საუკეთესო შედეგი — 11,6. ათეულის საშუალო შედეგი — 12,1, 1983 წელს კი — 12,2.

200 მ რბენა. საქართველოს რეკორდი — 23,67 — მ. აზარაშვილი. დაამყარა 1983 წელს.

1983 წლის საუკეთესო შედეგები:
23,67 — მ. აზარაშვილი (1964, „კოლმეურნე", თბილისი, მე-11 ადგილი სპარტაკიადაზე).
23,4 — ო. ვიქტოროვა (1961, „შრომითი რეზერვები", სოხუმი).
25,4 — ლ. გერგელეჯიევა (1964, „განთიადი", სოხუმი).
25,5 — ლ. რევა (1964, „დინამო", სოხუმი).
25,6 — ი. სუშკოვა (1967, თბილისი)
25,6 — ტ. ემუხვარი (1965, „დინამო", სოხუმი)
25,6 — ი. კოსორუკოვა (1965, „დინამო", თბილისი)
25,7 — ე. ვრეტიკო (1968, ქუთაისი)
25,7 — ო. ვერშინინა (1962, „ლოკომოტივი", თბილისი)

26,1 — ვ. ხრომოვა (1961, „განთიადი", ქუთაისი)
26,1 — ი. აფანასიევა (1962, ზუგდიდი)

50 შედეგში: 2 სპორტის ოსტატისა, 7 პირველი თანრიგის, 22 — მეორესი, 18 — მესამესი, 1 — უთანრიგო.

1979 წლის საუკეთესო შედეგია 24,8.
„10 საუკეთესოს" საშუალო მაჩვენებელია 25,9, 1983 წელს კი — 25,2.

400 მ რბენა. საქართველოს რეკორდი — 55,29 — ზ. გუჩმაზოვა დაამყარა 1983 წელს.

1983 წლის საუკეთესო შედეგები:
55,29 — ზ. გუჩმაზოვა (1963, „ლოკომოტივი", თბილისი, 25-ე ადგილი სპარტაკიადაზე)
55,5 — ო. მიხელიძე (1966, თბილისი, 27-ე ადგილი სპარტაკიადაზე)
55,5 — შ. ონიაშვილი (1964, „განთიადი", თბილისი)
57,1 — ე. პოპიკინა (1967, თბილისი)
59,1 — ე. ფეიქრიშვილი (1966, რუსთავი)
59,1 — ლ. რევა (1964, „დინამო", სოხუმი)
59,2 — ტ. რევა (1962, „დინამო", სოხუმი)
1.00,1 — ი. ნანიევა (1965, „განთიადი", სამხრეთ-ოსეთი)
1.00,5 — ი. აფანასიევა (1962, ზუგდიდი)
1.00,7 — ლ. ნოვინკინა (1968, სოხუმი)

33 შედეგში: 3 ოსტატობის კანდიდატისა, 1 — პირველი თანრიგის, 11 — მეორესი, 10 — მესამესი, 8 — უთანრიგო.

1979 წლის საუკეთესო შედეგია 58,2, ათეულისა — 59,0, 1983 წელს — 58,2.

800 მ რბენა. საქართველოს რეკორდი 2. 05,0 — ლ. მიხალჩიკი. დაამყარა 1983 წელს.

1983 წლის საუკეთესო შედეგები:
2.05,0 — ლ. მიხალჩიკი (1954, ქუთაისი)
2.06,7 — ზ. გუჩმაზოვა (1963, „ლოკომოტივი", თბილისი)
2.13,8 — ე. პოპიკინა (1967, თბილისი)
2.17,2 — ე. ბელოგუროვა (1966, ახალციხე)
2.18,9 — ნ. ჭალიაშვილი (1962, ახალციხე)
2.19,4 — ი. კულინიჩი (1966, ახალციხე)
2.23,3 — ი. პავლოვიჩი (1968, ახალციხე)
2.24,0 — ი. მინაია (1963, „დინამო", აფხაზეთი)
2.25,0 — ლ. ზედგენიძე (1968, „კოლმეურნე", ახალციხე)
2.25,1 — ა. კრივოლაპოვა (1967, აფხაზეთი).

21 შედეგში: 2 ოსტატობის კანდიდატისა, 1 პირველი თანრიგისა, 5 — მეორესი, 6 — მესამესი, 7 — უთანრიგო.

1979 წლის საუკეთესო მაჩვენებელია 2.06,9, 9 საუკეთესოს საშუალო შედეგი — 2.16,9. 1983 წელს ათეულის საშუალო შედეგია 2.17,8.

1500 მ რბენა. საქართველოს რეკორდი — 4.12,4 — ლ. მიხალჩიკი. დაამყარა 1983 წელს.

1983 წლის საუკეთესო შედეგები:
4.12,4 — ლ. მიხალჩიკი (1954, ქუთაისი).
4.39,6 — ნ. ჭალიაშვილი (1964, ასკ, თბილისი)
4.47,0 — ე. ბელოგუროვა (1966, ახალციხე)
4.51,0 — ლ. ზედგენიძე (1968, ახალციხე)
4.54,0 — ი. ინასარიძე (1966, ახალციხე)
4.55,0 — ე. მურადიდი (1969, თბილისი)
4.56,7 — ი. პავლოვიჩი (1968, ახალციხე)
4.59,4 — ს. მინასიანი (1964, „შრომითი რეზერვები", თბილისი)
5.00,0 — ზ. ორჯონიკიძე (1967, აჭარა)
5.01,8 — ნ. ლუკიანოვა (1965, თბილისი)

17 შედეგში: 1 სპორტის ოსტატისა, 1 პირველი თანრიგის, 8 — მეორესი, 5 — მესამესი, 2 — უთანრიგო.

1979 წლის საუკეთესო შედეგია 4.18,7, ათეულის საშუალო მაჩვენებელი — 4.58,8. 1983 წელს — 4.49,4.

3000 მ რბენა. საქართველოს რეკორდი — 9.06,64 — ლ. მიხალჩიკი. დაამყარა 1983 წელს.

1983 წლის საუკეთესო შედეგები:
9.06,64 — ლ. მიხალჩიკი (1954, ქუთაისი, მე-15 ადგილი სპარტაკიადაზე).
10.21,0 — ნ. ჭალიაშვილი (1964, ასკ, თბილისი)
10.32,3 — ს. მინასიანი (1964, „შრომითი რეზერვები", თბილისი).
10.40,8 — ე. ბელოგუროვა (1966, ახალციხე)
11.27,4 — ი. ინასარიძე (1966, „კოლმეურნე", ახალციხე)
11.32,3 — ნ. ლუკიანოვა (1964, „კოლმეურნე", ახალციხე)

6 შედეგში: 1 სპორტის ოსტატისა, 1 პირველი თანრიგის, 2 — მეორესი, 2 — მესამესი.

1979 წელს ამ სახეობაში შეჯიბრება არ გამართულა.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 2ბ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 07881